თვითრეგულირებადი სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება დაწყებით საფეხურზე

მარი გერაძე

თამარ ცანავა

რუსუდანი ზვიადაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო გორგოძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარი გერაძე, თამარ ცანავა, რუსუდანი ზვიადაური

თარიღი: 20.06.2024

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განვახორციელეთ სსიპ-ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო თვითრეგულირებადი სწავლების უნარ-ჩვევებისა და ავტონომიურობის ხარისხის ზრდის ხელშეწყობა სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებში. პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას გამოვიყენეთ, როგორც რაოდენობრივი (მოსწავლეთა გამოკითხვა), ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები (ფოკუს-ჯგუფი მასწავლებლებთან და გაკვეთილზე დაკვირვება). შევარჩიეთ ინსტრუმენტები რომელთა საშუალებითაც დავადგინეთ, რომ მესამე კლასელ მოსწავლეებს ნაკლებად ჰქონდათ განვითარებული ისეთი უნარები, რომლებიც მათ თვითრეგულირებადი სწავლების პროცესში სჭირდებოდათ. სწორედ ამიტომ მათ უჭირდათ ინსტრუქციების მარტივად გაგება, დროის სწორად მართვა, საკუთარი დღის დაგეგმვა და სხვა ისეთი უნარების გამომუშავება, რომლებიც მნიშვნელოვანია თვითრეგულირებადი სწავლისა და ავტონომიურობის ხარისხის ზრდისთვის. გამოვლინდა ფაქტორები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსწავლეთა თვითრეგულირებადი სწავლის უნარების განვითარებაზე: მასწავლებლების მხრიდან არასაკმარისი სტრატეგიების ცოდნა და გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობდა თვითრეგულირებადი სწავლის უნარ-ჩვევების გამომუშავებას დაწყებით საფეხურზე. აგრეთვე თვითრეგულირებად სწავლებაზე მშობლებში ცნობიერების დაბალი დონე, რაც აისახება შვილების დამოუკიდებლობის ხარისხზე. არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და თვითრეგულირებადი სწავლის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, შევიმუშავეთ ინტერვენციები, რომლებიც გამოიწვევდა მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, დროის სწორად განაწილების, ინსტრუქციების გაგების, ქცევისა და ემოციების კონტროლის და სხვა უნარების გამომუშავებას, რაც მათი ავტონომიურობის ხარისხს გაზრდიდა. ეს ინტერვენციები გახლდათ : „სასწავლო მენიუ“, „ყვითელი ფერის

თავგადასავალი“, „რეფლექსიის დღიური“ და „ბროშურა მშობლებისთვის“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანი გახლდათ თვითრეგულირებადი სწავლის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა დაწყებით საფეხურზე. შესაბამისად, ინტერვენციების შერჩევა მოხდა აღნიშნული უნარების გამომუშავებისთვის საჭირო სტრატეგიების განხორციელების მიზნით.

ინტერვენციების განხორციელების დროს აქტიურად ვიყენებდით გაკვეთილზე დაკვირვების მეთოდს. ჩვენ მიერ კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციების პროდუქტიულობის შესაფასებლად გამოვიყენეთ შემდეგი სახის ინსტრუმენტები: მოსწავლეთა კითხვარი, ფოკუს-ჯგუფი მასწავლებლებთან და მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზი (მოსწავლეების მიერ ინტერვენციების ფარგლებში შესრულებული ნამუშევრები და ჩანაწერები). ინტერვენციების განხორციელების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა თვითრეგულირების უნარები საგრძნობლად გაუმჯობესდა: ისინი უფრო მარტივად იგებდნენ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ინსტრუქციებს, დამოუკიდებლად გეგმავდნენ სასწავლო კვირას და წარმატებით ახორციელებდნენ ქცევებისა და ემოციების მართვას საგაკვეთილო პროცესებში. მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული პროცესებში, მათი დამოკიდებულება აღნიშნული ინტერვენციების მიმართ იყო დადებითი და მეტად ცდილობდნენ მოსწავლეებისთვის მიეცათ დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღების დროს.

მიღებული შედეგების მდგრადობისა და გაუმჯობესების მიზნით სასურველია მსგავსი ტიპის ინტერვენციების განხორციელება გაგრძელდეს მომდევნო კლასებშიც და სკოლის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს მასწავლებლებს, რომ კვლევაში მონაწილეობისას მიღებული გამოცდილება გაუზიარონ კოლეგებს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში, მოსწავლეთა თვითრეგულირებადი სწავლის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, შეიმუშავოს სტრატეგიული მიზნები, მასზე ორიენტირებული პროექტები და აქტივობები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თვითრეგულირება, ავტონომიურობა, „სასწავლო მენიუ“,

„რეფლექსიის დღიური“, ქცევისა და ემოციების მართვა, დაგეგმვა, დროის მენეჯმენტი.

Abstract

This master's thesis is a report of the action research, which we implemented at the primary level of the LEPL Tbilisi Public School N175.

The aim of our study was to promote the growth of self-regulated learning skills(SRL) and the degree of autonomy in the primary students of Tbilisi Public School #175. During the study we used both quantitative (student survey) and qualitative research methods (focus group with teachers and observation on the lessons). For diagnostics, we selected the instruments which determined that third-grade students had poor skills for self-regulated learning. That was the reason for difficulties they had in understanding instructions easily, managing their time properly, planning their own day , and developing other skills that are important for SRL and increasing the degree of autonomy. Factors that contributed to the lack or absence of SRL skills were the following: insufficient knowledge and use of strategies by teachers to help students in developing such skills at the primary level. There is also a lack of awareness among parents about such teaching style, which affects the degree of independence in their children. In order to improve the situation and promote the process of self-regulated learning, we planned the following interventions: „Learning Menu“, „The Adventure of Yellow Color“, „Reflection Diary“ and „Brochure for Parents“.

The interventions were selected in order to implement the strategies needed to develop the mentioned skills. Through them teachers would be able to implement such steps that would help in increasing students' motivation, manage time better, understand instructions, control behavior and emotions and develop other skills which would increase the degree of autonomy.

After the implementation of the interventions, we used the following tools to evaluate their productivity: student questionnaires, lesson observations, focus groups with teachers and analysis of students' papers. After finishing the interventions we found out that students self-regulation skills improved significantly. They understood teachers' instructions more easily, independently planned their study week and successfully managed their behaviors and emotions in the classroom. Parents were actively involved in the processes, their attitude towards the mentioned interventions was positive and they constantly tried to give students more independence in decision making.

In order to maintain and improve the obtained results, it is desirable to continue this type of teaching in the next grades as well and the school administration should support the teachers to share the experience gained during participation in the research with their colleagues. It is important for the school to develop strategic goals, projects and activities focused on it in order to develop students' self-regulated learning skills in the strategic action plan.

Key words: self-regulation, autonomy, „learning menu", „reflection diary", behavior and emotional management, planning, time management.

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილეს ქალბატონ ნუნუ ვაშაძეს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდით ამავე სკოლის მე-3 კლასის ხელმძღვანელებს ირინე ქობალიას და ნუნუ კაპანაძეს, მშობლებს და მოსწავლეებს აქტიური თანამშრომლობისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი კვლევის ხელმძღვანელს, სოფიო გორგოძეს, მხარდაჭერისთვის, აქტიური ჩართულობისთვის, საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის გაზიარებისა და დროული უკუკავშირისთვის.